სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის

სამუსიკო სემინარიის

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

ქ. თბილისი
2021 წ.

სარჩევი

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა 0

თავი I -ზოგადი ინფორმაცია 2

მიზნობრიობა 2

თავი II -რისკების შეფასება 2

კონტროლის მექანიზმების იერარქია: 2

თავი III - კონტროლის მექანიზმები..... 2

III[I] საფრთხის იზოლირება..... 3

III[II] პროცედურები 5

III[III] სასწავლო პროცესის მოწყობა..... 6

III [IV] სავალდებულო დისტანცია მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:..... 6

III[V] სკოლის/სემინარიის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი..... 7

III[VI] სასწავლო დაწესებულების ბიბლიოთეკა 7

III[VII] სანიტარიული კვანძის დასუფთავება 8

III [IX] მოსწავლეების ვალდებულებები 9

III [X] მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები 9

III [XI] მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება..... 10

III [XII] თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი 10

III [XIII] სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა 10

III [XIV] სამუშაო სივრცის, აღჭურვილობის სრული რეგულარული დეზინფექცია 10

III [XV] სამუშაო სივრცის გამუდმებული ვენტილაცია..... 11

III [XVI] ხელის სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა 12

III [XVII] სამედიცინო ნარჩენების მართვა 12

III [XVIII]არსებული საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები 12

III [XIX] მცირე ინსტრუქტაჟი, რომელიც ჩაუტარდება ყველა დასაქმებულს. 13

III [XX] მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდება სავალდებულო / საინფორმაციო ნიშნები. 13

III [XXI] პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა 13

III [XXIII] ცეკვის შემსწავლელი გაკვეთილების ორგანიზება 14

III [XXIV] რეპეტიციების ორგანიზება 14

III [XXV] სკოლის/სემინარიის სივრცეში კვების ორგანიზება 15

III [XXVI] ინდივიდუალური დაცვის საშუალებები..... 15

თავი IV - დასკვნითი დებულება..... 15

თავი I -ზოგადი ინფორმაცია

მიზნობრიობა

ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების საგანგებო გეგმის, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიო პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების გაწერა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგად რეკომენდაციებს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციებს.

თავი II -რისკების შეფასება

აღნიშნული გეგმის შედგენამდე დაწესებულების მუშაობა შეჩერებული იყო. პერსონალი სრულად გადაყვანილ იქნა დისტანციურ მომსახურებაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით (SARS, SARS-CoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციის თანახმად დაწესებულება გადის COVID -19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების **საშუალო რისკის კატეგორიაში**.

აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით დაწესებულება შეიმუშავებს გეგმაში გაწერილ კონტროლის მექანიზმებს და შეეცდება რისკის დონე კიდევ უფრო ჩამოწიოს და დაიყვანოს **დაბალი რისკის** კატეგორიამდე. რისკების შეფასების შემდეგი ეტაპი: **კონტროლის მექანიზმების შემუშავება** წარიმართა საერთაშორისოდ აპრობირებული და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული **კონტროლის მექანიზმების იერარქიის** მიხედვით:

კონტროლის მექანიზმების იერარქია:



თავი III - კონტროლის მექანიზმები

ზემოხსენებული იერარქიიდან ორი საფეხურის („გამორიცხვა“

პირველი

და „ჩანაცვლება“) განხორციელება აღნიშნული მსოფლიო პანდემიის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად დაწესებულება გამოიყენებს დარჩენილ სამ საფეხურს: „საფრთხის იზოლირება,“ „პროცედურები,“ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.“

III[1] საფრთხის იზოლირება

1. **ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან**

ამ რისკ ჯგუფში შევა ყველა პირი, თუ:

- ბოლო 12 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

2. **ტემპერატურის გაზომვა დისტანციურად და მასთან დაკავშირებული პროცედურები**

- სასწავლო პროცესის დაწყებამდე სამუშაოს დაწყების წინ განხორციელდება ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი ტემპერატურის გაზომვით, რათა გააკონტროლდეს, როგორც მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომელთა და სკოლაში/სემინარიაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დისტანციური თერმომეტრის საშუალებით;
- მოსწავლეთა ნაკადურობის პრინციპის დაცვით, მოსწავლეთა მიღება განხორციელდება სკოლის/სემინარიის შენობის ეზოს მხრიდან.
- პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, სკოლის/სემინარიის შესასვლელში უზრუნველყოფილ იქნება მოსაცდელი სივრცე, სადაც განხორციელდება ვერცხლისწყლის თერმომეტრით ტემპერატურის გაზომვა 15 წთ-ის შუალედში. დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები აღირიცხება შესაბამის ფორმაში.
- ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ;

სიცხის გადამოწმების შემდეგ 37C ან 37C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:

- ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში/სემინარიაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;

- მოსწავლე პირბადით განთავსდება წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში, ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან/სემინარიიდან დროულად გაყვანაზე;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში/სემინარიაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა/სემინარია ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
- დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, სკოლა/სემინარია ვალდებულია გადაამოწმოს ტემპერატურა და იმოქმედოს შესაბამისად;
- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
- სკოლაში/სემინარიაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;
- სკოლაში/სემინარიაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება პჯრ ტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);
- მოსწავლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად.

3. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში სპეციალური იზოლირებული ოთახის / სივრცის გამოყოფა

სიმპტომების დაფიქსირების ან ამ გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოვლენილი პირები, ასევე COVID-19-ის დადასტურებულ, ან სავარაუდო შემთხვევისას (ე.ი. პირები, რომელთა გამოკვლევა გრძელდება) ყველა პირი უნდა მოთავსდნენ <u>სპეციალურად გამოყოფილ ბუნებრივი</u>

<u>ვენტილაციით აღჭურვილ ოთახში, რეაგირების ჯგუფის მიერ,</u> რომლის შესასვლელზე დაიკიდება სპეციალური ნიშანი, რომელიც კრძალავს სხვა პირების შესვლას.

საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- ოპტიმალური ბუნებრი ვივენტილაცია;
- დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებები;
- ხელმისაწვდომია ხელის სადეზინფექციო საშუალებები;
- ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი დამუშავდება სველი წესით.

საიზოლაციო ოთახში მყოფი ყველა პირი (მათ შორის, მოსწავლეს) ვალდებულია ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;

რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს. **დაწესებულების რეაგირების ჯგუფი** (აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - რესპირატორი / პირბადე, ხელთათმანები, ბახილები, სპეცხალათები) გამოიკვლევს პირის ყველა ახლო კონტაქტს (თანამშრომლებთაგან) და ამ მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს.

რეაგირების ჯგუფის წევრები ვალდებული არიან რისკ ჯგუფის წარმომადგენელ პირთან დაიცვან მინიმუმ 2 მეტრიან დისტანცია.

III[II] პროცედურები

1. **ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა** გაზიარებულ იქნება მენეჯმენტის ყველა წევრთან. გეგმაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები გაუზიარდება ყველა თანამშრომელს ინსტრუქტაჟის სახით.
2. **თვალსაჩინო ადგილას განთავსებული იქნება განცხადებები COVID-19-ის** და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რათა დასაქმებულებს /სხვა პირებს/ვიზიტორებს/მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის დაწყებამდე;
4. შესაძლებლობის ფარგლებში დაწესდება შეზღუდვები სამუშაო დროზე;

5. ვიზიტორების მიღება სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნება წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით
6. შენობის შესვლამდე ყველა ვალდებულია გაიაროს შემდეგი პროცედურები:
   - კარებში შემოსვლისთანავე, გარდა I-IV კლასის მოსწავლეებისა, გაიკეთეთ პირბადე! **პირბადის გარეშე შენობაში არ დაიშვებით!**
   - გაიარეთ დეზობარიერი!
   - გაიარეთ თერმოსკრინინგი!
   - დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით!
   - ვიზიტორების დაშვება დაწესებულებაში ხორციელდება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. უზრუნველყოფილი იქნება ვიზიტების ზუსტი აღრიცხვა: ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულების, შემოსვლისა და გასვლის დროის დაფიქსირებით;
7. მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის დროს უპირატესობა მიენიჭება დისტანციურ შეხვედრებს.
8. უზრუნველყოფილ უნდა იყოს ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
9. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილ იქნება აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბადე, ფარი/სათვალე, საჭიროების შემთხვევაში ხალათები, ბახილი);
10. წინასწარ განისაზღვრება პედაგოგების, მოსწავლეების/მესამე პირების რაოდენობა ისე, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოფილ იყოს 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა. ამასთან, მოსწავლეები განთავსდებიან სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ;
11. დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნება ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით;

III[III] სასწავლო პროცესის მოწყობა

- უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესი წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად;
- მასწავლებლის მიერ გამოყენებული ჟურნალით ყოველი სარგებლობის წინ და შემდგომ უზრუნველყოფილი იქნება ხელების სანიტაიზერით სავალდებულო წესით დამუშავება;

III [IV] სავალდებულო დისტანცია მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:

საკლასო ოთახში, მაგიდების/მერხების განლაგება განხორციელდება შემდეგი პრინციპით:

- მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები არ ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არანაკლებ 1 მეტრისა;
- მაგიდები განლაგდეს იმგვარად, რომ მოსწავლეები ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, და მათ შორის დაცული იყოს დისტანცია არა ნაკლებ 2 მეტრისა;
- საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და მოსწავლეებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

III[V] სკოლის/სემინარიის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი

- სკოლის/სემინარიის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს (გარდა მოსწავლეებისა) უნდა ეკეთოს პირბადე, მათ შორის დასვენებების პერიოდში;
- შესვენების ხანგრძლივობა იქნება არაუმეტეს 10 წუთისა;
- შეიზღუდება მოსწავლეების მიერ საკლასო ოთახების ხშირი ცვლა და მოსწავლეები დარჩებიან ერთსა და იმავე ოთახში;
- ერთი და იმავე ოთახში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, დაცული იქნება 30 წუთიანი შუალედი, განიავდება საკლასო ოთახი, მაგიდები და საერთო გამოყენების ზედაპირები დამუშავდება სადეზინფექციო ხსნარით;
- ყოველი შესვენების დროს სავალდებულოა საკლასო ოთახის განიავება;
- გაკვეთილის ჩასატარებლად პედაგოგები ვალდებულნი არიან ერთი საკლასო ოთახიდან მეორეში შესვლისას ჩაიტარონ ხელის ჰიგიენა;
- ფიზიკური აქტივობის/სპორტის გაკვეთილების ჩატარებისას განხორციელდება ბუნებრივი მუდმივი ვენტილაცია და სპორტის გაკვეთილისთვის განკუთვნილი ყველა აღჭურვილობის დეზინფიცირება მისი გამოყენების შემდგომ.
- დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნება ნაკადის (რიგები შესასვლელში, სველ წერტილებთან, დაცვის ოთახში, ექიმის კაბინეტში და სხვ.) კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა ნაკლებ 1მ);
- ამოღებულ იქნება ხმარებიდან ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები და ასევე ყველა ის ნივთი, რომელთა დეზინფიცირებაც რთულია.
- მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ჯგუფში მრვალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ.

III[VI] სასწავლო დაწესებულების ბიბლიოთეკა

- ბიბლიოთეკის მუშაობისას გათვალისწინებულ იქნება უსაფრთხო დისტანციები მაგიდებს შორის, ბიბლიოთეკარსა და მოსწავლეს შორის. აიკრძალება ჯგუფური სამკითხველო. განხორციელდება დეზინფიცირება სამუშაო მაგიდის ყოველი გამოყენების შემდგომ. შეკვეთილი წიგნის დაბრუნებისას, წიგნი განთავსდება საკარანტინე კარადაში/მაგიდაზე არანაკლებ 3 დღისა და აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.
- ბიბლიოთეკარი აღიჭურვება პირბადით, ხელის სანიტაიზერითა და ხელთათმანით. განხორციელდება ბიბლიოთეკის განიავება და ხშირად შეხებადი ზედაპირების დეზინფექცია არანაკლებ 3 სთში ერთხელ.

- ბიბლიოთეკა მუშაობას განაგრძობს დისტანციურ რეჟიმში, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს არ შეუძლია ბიბლიოთეკაში მოსვლა და ბიბლიოთეკის სივრცით (სამკითხველო დარბაზი, აუდიო ბიბლიოთეკა, სამუშაო ოთახი) სარგებლობა. ბიბლიოთეკის რესურსების სარგებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსწავლის მიერ უსაფრთხო დისტანციის დაცვით, ბიბლიოთეკის ოთახის შესასვლელთან წიგნის უსაფრთხო დისტანციით შეკვეთით. ბიბლიოთეკარი აღჭურვილი იქნება ხელთათმანით, პირბადით, სადეზინფექციო ხსნარით. გამოყენებული წიგნების დაყოვნება განხორციელდება საკარანტინე კარადაში, რაც აღირიცხება შესაბამის ჟურნალში. საკარანტინე კარადაში განთავსებული წიგნები მაქსიმალურად მორიდებული იქნება გვიან განთავსებულ საკარანტინე წიგნებისგან.

III[VII] სანიტარიული კვანძის დასუფთავება

- უზრუნველყოფილ იქნება სანიტარიულ კვანძში სისუფთავის დაცვა. წინასწარ განისაზღვრება სანიტარიული კვანძების დასუფთავების პერიოდულობა,წესი.
- სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები.
- სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა დადეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არა ნაკლებ დღეში 2-ჯერ;
- საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ გაირეცხება და გაშრება; უზრუნველყოფილ იქნება დამლაგებლის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
  - ❖ ხელთათმანები;
  - ❖ სახის ფარი;
  - ❖ წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას)/ ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
- დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
- დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებელად დაიბანეთ ხელები;
- სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები შეინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი პირებისთვის;
- უზრუნველყავით დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავის ვენტილაციის შესაძლებლობა.

<u>დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი:</u>

- ინვენტარის გადასაადგილებელი საშუალება;

- იატაკის საწმენდი ჯოხი - სველი დამუშავებისათვის;
- ორგანყოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
- აქანდაზი და ცოცხი;
- ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
- მუშამბის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
- ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
- საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
- ჰაერის დეზოდორი;
- ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში);
- ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად);
- ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
- სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
- უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
- შუშის საწმენდი;
- ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
- ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
- დიდი და პატარა ნაგვის პარკები;
- სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.

III IX მოსწავლეების ვალდებულებები

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- დაიცავით სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები;
- დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
- დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას;
- სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება
- არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

III X მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები

- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვათ მოსწავლე სკოლაში/სემინარიაში;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანეთ მოსწავლე სკოლიდან/სემინარიიდან და უზრუნველყავით

ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;

- სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.

III XI მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება

ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და მოსწავლეების ვალდებულებების ინფორმირება განხორციელდება საინფორმაციო დაფაზე შესაბამისი წერიობითი ინფორმაციის გადაგზავნითა და მოსწავლის ელექტრონულ პორტალზე ინფორმაციის მიწოდებით.

III XII თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი

- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ხელის ჰიგიენის საკითხებზე.
- სკოლა/სემინარია მიაწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და მოსწავლეებს SARS-COV2 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენის, პირბადის ტარების, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლები);
- შეხვედრები მასწავლებლებთან, მშობლებთან წარიმართება მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით.

III XIII სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა

- თითოეულ მოსწავლეს მიეცემა საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში/სემინარიაში ტარების რეკომენდაცია;
- წყლის ბოთლი გარეცხეთ დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არა ნაკლებ დღეში ერთხელ.

III XIV სამუშაო სივრცის, აღჭურვილობის სრული რეგულარული დეზინფექცია

- მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში განხორციელდება მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით);

- ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება განხორციელდება რამდენჯერმე დღეში (არა უმეტეს 3 სთ-ის დაყოვნებით) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- განხორციელდება სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავება რამდენჯერმე დღეში (არა უმეტეს 3 სთ-ის დაყოვნებით) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- დეზინფექციის განმახორციელებელი პირები აღჭურვილნი იქნებიან შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, პირბადე, ფარი/სათვალე, სამედიცინო ხალათი, ბახილები).
- განსაკუთრებით გაძლიერდება სანიტარიული წერტილების დეზინფექცია (არა უმეტეს 2 სთ-ის დაყოვნებით). პედაგოგები და მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები);
- დასაქმებულთა სამუშაო ადგილები აღჭურვილ იქნება ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარით.
- სველი წესით დასუფთავებასა და სამუშაო სივრცის დღეში რამდენჯერმე დეზინფექციას განახორციელებს შესაბამისი ეკიპირებით აღჭურვილი დასუფთავების თანამშრომლები.
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ განხორციელდება საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01-123/ო ბრძანების ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ სათანადო დანართის შესაბამისად.

III [XV] სამუშაო სივრცის გამუდმებული ვენტილაცია

შენობაში არსებული სავენტილაციო სისტემისა მეშვეობით მოხდება სრული სამუშაო სივრცის გამუდმებულ რეჟიმში ვენტილაცია, იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვენტილაცია, გაიღება კარები/ფანჯრები და მოხდება ჰაერის განიავება დღეში რამდენჯერმე. ყოველი შესვენებისა და ცვლის შემდგომ განხორციელდება საკლასო ოთახების განიავება. ყოველი ცვლის შემდგომ, ან საკლასო ოთახის ცვლილებისას ოთახები განიავდება არანაკლებ 30 წთი-ის განმავლობაში. შენობაში არსებობს ხელოვნური ვენტილაცია, რომლის საინჟინრო კონტროლზე დაწესდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

სარეპეტიციო დარბაზში არსებული ხელოვნური ვენტილაციის გამოყენების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით ბუნებრივი უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით;
- ხელოვნური ვენტილაციის სისტემის არსებობის შემთხვევაში, გადართეთ ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყებამდე 2 საათით ადრე და სიჩქარე შეამცირეთ მინიმალურამდე ღონისძიების დამთავრებიდან 2 საათის შემდეგ;

- ❖ არ გამორთოთ ვენტილაცია, არასამუშაო საათებში ამუშავეთ ყველაზე მინიმალური სიჩქარით;
- ❖ სავენტილაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე დააწესეთ საინჟინრო კონტროლი, ასევე, ვენტილაციის ფილტრების ყოველთვიური მონიტორინგი და დაბინძურების შესაბამისად (მაგრამ არანაკლებ 4 (ოთხ) თვეში ერთხელ) მათი რეცხვა/გასუფთავება/გამოცვლა (საჭიროების მიხედვით).

III XVI ხელის სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა

- ➢ სამუშაო სივრცეებში ხელმისაწვდომი იქნას ხელის სადეზინფექციო საშუალებები და გამოიკვრება ხელების დეზინფექციის ინსტრუქცია.
- ➢ სამუშაო სივრცის ყოველ შესასვლელთან განთავსდება დეზობარიერი შესაბამისი მანიშნებელი ნიშნით.
- ➢ სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი;
- ➢ სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება უზრუნველყოფილ იქნება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ბუნებრივი ვენტილაციით.
- ➢ სადეზინფექციო საშუალებების მარაგები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მხოლოდ შესაბამისი პირისთვის.
- ➢ ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განათავსდება დაწესებულების შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაცი ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო და სხვ.), თითო სართულზე არანაკლებ 2 ცალი;

III XVII სამედიცინო ნარჩენების მართვა

დასაქმებულთა/ვიზიტორთა /მოსწავლეთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის განთავსდება დახურული სატერფულიანი კონტეინერები, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდება ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

III XVIIIარსებული საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები

დანართი 1 -ში მოცემულია თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები. აღნიშნული წესები გაზიარებულ იქნება ყველა დასაქმებულისათვის ინსტრუქტაჟის სახით. წესების დაცვაზე კონტროლი დაევალება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

III XIX მცირე ინსტრუქტაჟი, რომელიც ჩაუტარდება ყველა დასაქმებულს.

დანართი 2 - ში მოცემულია ამ გეგმაში გაწერილი მოთხოვნების, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფო რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული ინსტრუქტაჟის თემატიკა. უზრუნველყოფილ იქნება აღნიშნულ თემატიკაზე ყველა თანამშრომლისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

III XX მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდება სავალდებულო / საინფორმაციო ნიშნები

- სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარები, კიბის უჯრედები, შესასვლელები, ა.შ.) განლაგდება სავალდებულო/საინფორმაციო-მიმთითებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებს დასაქმებულებს/ვიზიტორებს, მოსწავლეებს შემდეგ საკითხებს:
- პირადი ჰიგიენის დაცვა (ხელის ხშირი დაბანა/ დეზინფექცია); დისტანცირება (მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა სხვა დასაქმებულებთან);
- ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (გადახვევა, გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა, ა.შ.);
- საკონტაქტო ინფორმაცია (ვის უნდა დაუკავშირდნენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში).

III XXI პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა

დაწესებულების მიერ ბრძანებით განისაზღვრებიან შემდეგ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები:

- სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე დასაქმებულების/ვიზიტორების/მოსწავლეების და სხვა პირების კონტროლი.
- თერმოსკრინინგის განხორციელება და მისი შედეგების აღრიცხვა;
- ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირება;
- სადეზინფექციო სამუშაოების წარმოება, შენახვა/გაცემა და მასზე ზედამხედველობის განხორციელება;
- რეაგირების გეგმის განმახორციელებაზე ზედამხედველი;
- სამედიცინო ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი;
- სატრანსპორტო საშუალების დეზინფექციაზე პასუხისმგებელი პირი;
- სატრანსპორტო საშუალების მგზავრთა თერმოსკრინინგზე, იდს-ების ტარებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სასწავლო ჰიგიენაზე პასუხისმგებელი პირი;
- ხელოვნური ვენტილაციის საინჟინრო კონტროლზე პასუხისმგებელი პირი;

III XXIII ცეკვის შემსწავლელი გაკვეთილების ორგანიზება

სკოლაში/სემინარიაში, ტარდება ცეკვის შემსწავლელი გაკვეთილები. ინფექციური დაავადების თავიდან აცილების მიზნით, დარბაზში გათვალისწინებულ იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

- სარეპეტიციო სამუშაო გრაფიკი შედგენილ იქნება იმგვარად, რომ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის წევრები არ იმყოფებოდნენ უშუალო კონტაქტში ერთმანეთთან;
- დააწესდება სარეპეტიციო მუშაობის გრაფიკი ცვლების მიხედვით;
- შესაძლებლობის მიხედვით, ერთ ცვლაში არ დაიშვება 10 (ათი) ადამიანზე მეტი;
- იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეების სარეპეტიციო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროება 10 (ათი) ადამიანს აღემატება, სარეპეტიციო სივრცეში უზრუნველყოფილ იქნება 5 მ 2 ფართობზე თითო შემსრულებლის დაშვების შესაძლებლობა, ან მინიმუმ 2 მეტრის უსაფრთხო დისტანცია შემსრულებლებს შორის;
- სარეპეტიციო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს 2 (ორი) საათს;
- უზრუნველყოფილ იქნება ცვლებს შორის ინტერვალის შესაძლებლობა მინიმუმ 1 – 1,5 საათი;

III XXIV რეპეტიციების ორგანიზება

სასწავლო პროცესის მსვლელობისას რეპეტიციების ორგანიზებისას გათვალისწინებულ იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

- იმ შემთხვევაში, თუ შემოქმედებითი კოლექტივის სარეპეტიციო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროება 10 (ათი) ადამიანს აღემატება, სარეპეტიციო სივრცეში **უზრუნველყავით 5 მ ^{2} ფართობზე თითო შემსრულებლის დაშვების შესაძლებლობა, ან მინიმუმ 2 მეტრის უსაფრთხო დისტანცია შემსრულებლებს შორის;**
- სარეპეტიციო დროის ხანგრძლივობა განსაზღვრეთ იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს 2 (ორი) საათს;
- უზრუნველყავით ცვლებს შორის ინტერვალის შესაძლებლობა მინიმუმ 1 – 1,5 საათი;
- ორკესტრის/გუნდის/მომღერალთა ანსამბლის სცენაზე განთავსების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს 2 მეტრის დისტანცია/ან გუნდის საფეხურეობრივი განლაგება დისტანციის დაცვით;
- გასახდელებსა და საგრიმიოროში მსახიობებისთვის ავეჯი განათავსეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია;
- მაქსიმალურად შეამცირეთ რეპეტიციების, კონცერტებისა და სპექტაკლების დროს გამოყენებული რეკვიზიტების რაოდენობა;
- უზრუნველყავით საგრიმიორო ნაკრების ერთი კომპლექტიდან ერთი მსახიობის მიერ სარგებლობის საშუალება;
- აკრძალეთ ერთი კოსტიუმის და სხვა სპეციალური ტანისამოსის გამოყენება ერთზე მეტი მსახიობის მიერ, სხვა შემთხვევაში მოახდინეთ მისი დეზინფექცია;

- კონცერტის, სპექტაკლისა თუ სარეპეტიციო სამუშაოს დასრულების შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, განსაზღვრეთ გამოყენებული რეკვიზიტის, ინსტრუმენტის, მიკროფონის, ხმის აპარატურის/პულტის და სხვა ტექნიკური თუ შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი საშუალებების დეზინფიცირება დადგენილი წესით;
- იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია, უზრუნველყავით ხელოვნური ვენტილაციის გამართული მუშაობის რეჟიმი გარედან შემოტანილი ჰაერის ცირკულაციითა და გარეთ გატანით.

III [XXV] სკოლის/სემინარიის სივრცეში კვების ორგანიზება

- ეპიდ. სიტუაციიდან გამომდინარე, სკოლის/სემინარიის სივრცეში უქმდება სასადილოს/ბუფეტის ფუნქციონირება.
- მოსწავლეებსა და პედაგოგებს მიეცემათ რეკომენდაცია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსი) ტარების შესახებ, ასევე, კვების შესვენების ორგანიზება სასწავლო ოთახებში;
- საკვების მიღების წინ დაიბანეთ ხელები წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);

III [XXVI] ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

თანამშრომელთა უმეტესობამ, რომლებიც ინფიცირების მაღალი რისკის წინაშე დგანან, შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, უნდა ატარონ ხელთათმანები, ხალათი, სახის დამცავი ფარი, დამცავი სათვალეები და რესპირატორი/პირბადე;

თავი IV - დასკვნითი დებულება

ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლის მექანიზმების გატარების შემდეგ ჩატარდება რისკების შეფასება. რომელიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-15/ნ ბრძანებასთან სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი კონტროლების ზედმიწევნით გატარების და მათი მუშაობის რეგულარული მონიტორინგის შემთხვევაში, დაწესებულების დასაქმებულთა/მოსწავლეთა COVID – 19 - ით ინფიცირების რისკები ჩამოიწევს - **დაბალი რისკის დონემდე.**

დანართი 1

COVID-19 საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიის ტერიტორიაზე ქცევის წესები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას დ ასხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისა სსადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას.
- გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;

ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:

- საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ.
- დახველების ან დაცემინების შემდეგ.
- თანხის კუპიურებთან და მონეტებთან ხელით შეხების შემდეგ;

დანართი 2

თანამშრომელთა ინსტრუქტაჟის თემატიკა

რა არის კორონავირუსი?

ახალი კორონავირუსი წარმოადგენს იმ ვირუსების ჯგუფს, რომელის თავდაპირველი ადამიანის ინფიცირების წყაროს ცხოველი წარმოადგენს და რომელიც იწვევს რესპირატორულ ინფექციებს, დაწყებული ზოგადი გაციებით, დამთავრებული მწვავე რესპირატორული სინდრომით. ამ ვირუსის ადამიანთა შორის გავრცელება პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში.

როგორ ვრცელდება კორონავირუსი?

- აირ-წვეთოვანი გზით - ხველით, ცემინებით - ინფიცირებულ ადამიანთან 1მ ზე ახლოს მიახლოვებით
- თვალზე, პირზე ან ცხვირზე ინფიცირებული ხელის შეხებით
- ინფიცირებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა
- ფეკალიებთან კონტაქტით - იშვიათ შემთხვევაში

რა არის კორონავირუსის სიმპტომები?

- ❖ ცხელება, ცემინება, ხველა, სუნთქვის გაძნელება , პნევმონია.

ვინ არის მაღალი რისკის ქვეშ?

- 70 წელს გადაცილებული ადამიანები
- ადამიანები მწვავე ქრონიკული დაავადებებით

როგორ უნდა დავიცვათ თავი?

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება
- შეინარჩუნეთ არანაკლებ 1მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.
- არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.
- დახველებისას და დაცემინებისას ცხვირზე/ პირზე მიიფარეთ ცხვირსახოცი ან იდაყვი; გამოყენებული ცხვირსახოცი გადააგდეთ
- თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება, დროულად მიმართეთ ექიმს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულია ვირუსი ან ეჭვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.

- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით
- ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.

ყველა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება, მათ შორის:

- ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;
- ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;
- ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- თანამშრომელთა წახალისება, დარჩნენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;
- რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;
- ერთჯერადი ხელსახოცებისა და ნაგვის ყუთების უზრუნველყოფა მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის;